

ბირთვი და ბირთვული იარაღი

თორნიკე შარაშენიძე

ნატოს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი

ვიპას საერთაშორისო პოლიტიკის პროგრამის კოორდინატორი

გაზის ოპეკის ყველაზე სუსტი მთაბამე

საერთაშორისო ურთიერთობათა ერთ-ერთი გავლენიანი სკოლის, ნეომარქსიზმის მიხედვით მსოფლიო რამდენიმე შრედაა გაყოფილი: ბირთვი (მდიდარი ქვეყნები), ნახევრადპერიფერია (ნაკლებად მდიდარი ქვეყნები) და პერიფერია (ღარიბი ქვეყნები). ბირთვი პერიფერიის ექსპლუატაციას ეწევა, იაფად მოაქვს იქიდან ნედლეული, თავად კი ძვირიან ტექნოლოგიებს ქმნის. ბირთვი ცდილობს შეინარჩუნოს მონოპოლია მასობრივი განადგურების იარაღის ფლობაზე, ინფორმაციის კონტროლზე, ენერჯორესურსების კონტროლზე და ა.შ.

ნეომარქსიზმის მიხედვით ყველაზე დიდ პრობლემას ის წარმოადგენს, რომ ამ სტატუს-ქვოს დარღვევა მეტად ძნელია, რადგან ბირთვი პერიფერიის აღზევებას ყველანაირად შეუშლის ხელს და მის ინტერესებშია მხოლოდ თვითონ იყოს მდიდარი.

60-იან წლებში რამდენიმე აზიურმა ქვეყანამ პერიფერიიდან ბირთვისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. იქამდე ღარიბმა კორეამ, სინგაპურმა, ტაილანდმა და სხვებმა ეკონომიკური სასწაული მოახდინეს და მაღალგანვითარებულ სახელმწიფოთა რიგებში აღმოჩნდნენ. ბირთვის მათთვის ამაში ხელი არ შეუშლია. დასავლეთის ბაზარზე ახლა სიამოვნებით ყიდულობენ კორეულ თუ ტაილანდურ ტექნიკას. ამ მოვლენამ ნეომარქსიზმის სისწორე სერიოზულ ეჭვქვეშ დააყენა.

სადღეისოდ თუკი ზოგიერთი სახელმწიფოს ქცევას გადავხედავთ, აშკარა გახდება რომ ზოგიერთების პერიფერიიდან თუ ნახევრადპერიფერიიდან ბირთვში გადასვლას არა იმდენად ბირთვი უშლის ხელს, რამდენადაც თავად ეს ზოგიერთები.

რუსეთის ეკონომიკა დღემდე გაზსა და ნავთობზე დგას. იმის ნაცვლად, რომ ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე იფიქროს, ქვეყანა უფრო ამკაცრებს კონტროლს თავის ბუნებრივ რესურსებზე და ამ სფეროზე ახდენს კონცენტრირებას.

ირანი აშკარად მასობრივი განადგურების იარაღის იარაღის შექმნაზე მუშაობს (რითაც ბირთვის ამ სფეროში მონოპოლია უნდა გამოაცალოს) და ასევე ცდილობს თავისი, როგორც ენერჯოსახელმწიფოს პოზიციების გამყარებას. ქვეყნის ეკონომიკა ასევე გაზსა და ნავთობზე დგას და დივერსიფიკაციის არანაირი ნიშნები არ ჩანს. უფრო მეტიც, ქვეყანა გაზის ოპეკის შექმნაზე ფიქრობს.

გაზის ოპეკის იდეამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საერთო შეფასებით, ამგვარი ფენომენს მსოფლიო ეკონომიკა ჯერ არ უნდა ელოდოს. თუკი ნავთობი ბირჟის პროდუქტია, იგი მეტწილად ტანკერებით გადააქვთ და მისი ფასი ყოველდღიურად იცვლება, გაზის მიწოდება მეტწილად მილსადენებით ხდება და მისი ფასები ადგილობრივადაა განსაზღვრული გრძელვადიანი კონტრაქტებით. გაზის ოპეკის შექმნა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი მილსადენებით მიწოდებულ გაზს ტრანსპორტირებადი თხევადი გაზი ჩაანაცვლებს. ამ

შემთხვევაში მიმწოდებელი ნაკლებად იქნება დამოკიდებული მომხმარებელზე და თხევად გაზს იმას მიაწვდის, ვინც სასურველ ფასზე დათანხმდება. ეს წარსულში გაისტუმრებს ხანგრძლივი ვადით დაფიქსირებულ ფასებს და გაზიც ნავთობით ბირჟის პროდუქტად იქცევა.

ცნობილ საკონსულტაციო ჯგუფს “პრაისუოთერჰაუსკუპერს“ მიაჩნია, რომ 2020 წლისათვის თხევადი გაზის წილი მსოფლიო ბაზარზე 38%-ზე ავა და ამ დროისათვის გაზის ოპეკი შეიძლება რეალობად იქცეს.

ეს სიახლე ალბათ სასიამოვნოდ უნდა უღერდეს იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც თავიანთ მომავალს ენერგორესურსებს უკავშირებენ. მათ შორის რუსეთისთვისაც. მაგრამ რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა უღერდეს, რუსეთი – მსოფლიოში ბუნებრივი გაზით ყველაზე მდიდარი ქვეყანა – გაზის ოპეკის ყველაზე სუსტი წევრი იქნება.

ამ სისუსტეს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველი ისაა, რომ თავისი გაზის დიდ ნაწილს რუსეთი მილსადენების მეშვეობით დასავლეთ ევროპას აწვდის და ეს მიწოდება გრძელვადიან კონტრაქტებს ემყარება. ამას ისიც ემატება, რომ რუსეთის ჩრდილოურ საბადოებზე ათასი კუბომეტრი თხევადი გაზის წარმოება 84 დოლარი ჯდება. ეს კი მეტისმეტად მაღალი ფასია, რათა რუსეთმა კონკურენცია გაუწიოს გაზის ოპეკის სხვა წევრებს (თხევადი გაზის სხვა მწარმოებლებს) – ალჟირს, კატარსა თუ ირანს. 84 დოლარის ფარგლებში რუსეთის კონკურენტები შეიძლება თხევადი გაზის არა მხოლოდ ტრანსპორტირებას აშშ-ის ბაზარზე, არამედ მის რეგაზიფიკაციასაც კი.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ “გაზპრომი“ მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი კომპანიაა, მას ნაკლებად აქვს განვითარებული თხევადი გაზის წარმოების ტექნოლოგია. რუსეთს ჯერაც არ აუთვისებია შტოკმანის უდიდესი საბადო და ამ საქმეში თანამონაწილეობის სურვილს არაერთი დასავლური კომპანია გამოთქვამდა. მაგრამ საბოლოოდ კრემლმა გადაწყვიტა ყველა უცხოური კომპანია გაესტუმრებინა და საბადო მხოლოდ “გაზპრომის“ გამგებლობაში დაეტოვებინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შტოკმანზე თხევადი გაზის წარმოება დაგვიანდება, ერთობ ძვირი იქნება და კონკურენციასაც ძნელად გასწევს. ჯერჯერობით გაზს ნავთობისაგან ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც განასხვავებს – მისი დეფიციტის ნიშნები არ არსებობს და რუსეთის გაზს სხვისი გაზი ჩაანაცვლებს მსოფლიო ბაზარზე.

სადღეისოდ თხევადი გაზის ბაზარზე ფეხის მოკიდების ყველაზე კარგი შანსები ირანს აქვს. გერმანიის უმსხვილესმა გაზის იმპორტიორი კომპანია “ენი“ მოლაპარაკებებს აწარმოებს თეირანთან თხევადი გაზის მიწოდების თაობაზე. იგივე შინაარსის მოლაპარაკებებშია თეირანთან ჩართული ბრიტანული “სენტრიკაც.“ ჩრდილოეთის ზღვაში გაზის მარაგი თანდათანობით იწურება და ეს ფაქტორი ბრიტანელებს ახალი ენერგოწყაროების ძიებისკენ უბიძგებს.

ცხადია, თხევადი გაზის წარმოების ტექნოლოგია ირანში ჯერ კიდევ განსავითარებელია. მაგრამ ქვეყანას ამ მხრივაც ჰყავს გამონახული ინვესტორები. ესენია ანგლო-ჰოლანდიური “შელი“, ფრანგული “ტოტალი“, მალაიზიური “პეტრონასი“ და ესპანური “რეპსოლი.“ მაგრამ ამ ინვესტორებს თეირანისგან საბოლოო თანხმობა ჯერ მიუღიათ და ჯერჯერობით გაურკვეველია როდის მიიღებენ. გაურკვეველობას ხელს უწყობს ირანში დაძაბული პოლიტიკური ვითარება, კონფრონტაცია აშშ-სთან (აქედან

გამომდინარე ამერიკული ტექნოლოგიის არქონა) და ეკონომიკური ემბარგოსა და ომის შიში. ირანის გარშემო შექმნილი ვითარება პარადოქსულიც კია – ქვეყანაში ინვესტირების რიგია და ამავე დროს ქვეყანა ეკონომიკური ემბარგოსა და ომის საშიშროების წინაშე დგას.

ირანზე დარტყმა? შედეგები

ცხადია, ირანზე შესაძლო დარტყმა ინვესტორებს დააფრთხობს. მაგრამ ალბათ უფრო მნიშვნელოვანია შეკითხვა – რამდენად ააღებინებს დარტყმა ირანს ხელს ბირთვულ პროგრამაზე. ცნობილი ბრიტანელი მეცნიერის, ფრენკ ბარნაბის აზრით დარტყმამ შესაძლოა ბოლომდე ვერ გაანდგუროს ბირთვული პროგრამა (მითუმეტეს, რომ ობიექტები მთელი ქვეყნის ტერიტორიაზეა გაფანტული). ამავე დროს ეს საშუალებას მისცემს ირანის ხელისუფლებას გამოვიდეს გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან და კიდევ უფრო მეტად დარაზმოს მოსახლეობა ბირთვული პროგრამის გარშემო. თეირანი გამოძებნის მორალურ გამართლებას, რათა ყველა რესურსი ბირთვულ პროგრამაზე გადაისროლოს დიქლება მალე შექმნას ატომური იარაღი.

აშშ ადრეც დამდგარა მსგავსი არჩევნის წინაშე. 1994 წელს განიხილებოდა ჩრდილო კორეის ბირთვული ობიექტების დაბომბვის ვარიანტი, მაგრამ საბოლოოდ პხენიანთან მოლაპარაკება და გარიგებაზე წასვლა გადაწყდა. ასევე არ განხორციელდა 70-იანების ბოლოს პაკისტანის კახუტას ქარხნის დაბომბვა – წარმატების შანსი არც ისე დიდი იყო, მითუმეტეს შედარებით მოსალოდნელ ცუდ შედეგებთან.

მაგრამ მაინც არსებობს ერთი მნიშვნელოვანი პრეცედენტი. 1981 წლის ივნისში ისრაელის გამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს ერაყის ოსირაკის რეაქტორზე. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ისრაელმა გადაწყვიტა, რომ აშშ და საერთაშორისო თანამეგობრობა ოსირაკის (რომელიც საფრანგეთისგან იქნა შექმნილი) პრობლემას სათანადო ყურადღებას არ უთმობდა. მაგრამ იქონია კი ამან ისრაელისათვის სასურველი შედეგი?

თუკი შედეგებით ვიმსჯელებთ, სადამ ჰუსეინს მაშინ ნამდვილად არ გადაუფიქრია ბირთვული იარაღის შექმნა. დაბომბვის შემდეგ მან პატიმრობიდან გაათავისუფლა ბრიტანეთში განათლებამიღებული ცნობილი ერაყელი ფიზიკოსი და მას დავალება მისცა უმოკლეს ვადაში შეექმნა “შემაკავებელი იარაღი.“ თუკი იქამდე ერაყოს ბირთვუ პროგრამაზე 400 კაცი მუშაობდა, მალე ეს მაჩვენებელი 7 ათასზე ავიდა. სფეროში 10 მილიარდ დოლარამდე იქნა დაბანდებული. თანაც, ეს ყველაფერი ადრინდელზე უფრო მალულად კეთდებოდა. 1991 წელს გაეროს ინსპექტორები შოკში ჩააგდო ერაყში ჩატარებულმა შემოწმებამ – ბირთვული იარაღის შექმნას აღარც ისე ბევრი უკლდა.

ოსირაკის გაკვეთილს არც სხვებისთვის ჩაუვლია უკვალოდ. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ბირთვული ობიექტები ირანში გაფანტულია და ბევრი მათგანი მიწისქვეშაა განლაგებული. მათი ადგილმდებარეობის დადგენა უდიდესი მიღწევა იქნება ყველა დიდი სახელმწიფოს დაზვერვისათვის.

ახლახან რუსმა ექსპერტებმა უახლოესი 10 წლის პოლიტიკური პროგნოზი შემოგვთავაზეს. “მსოფლიო რუსეთის გარშემო: 2017.“ ანგარიშში მრავალ საკითხზე მიდის მსჯელობა. მათ შორის ირანზეც. ავტორები ასკვნია, რომ ამ

პერიოდისათვის სამიდან ექვსამდე ახალი ბირთვული სახელმწიფო აღმოცენდება. ხოლო, ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა პრაქტიკულად გარდაუვალია.

არსებობს თუ არა მსგავს პესიმისტურ სცენარებში რაიმე გამოსავალი? რაც არ უნდა ბანალურად უდერდეს, გამოსავალი ალბათ თავად ირანშია. ქვეყანამ უარი უნდა თქვას კონფრონტაციულ ტონზე და ღია გახდეს ეკონომიკური თანამშრომლობისათვის. ახალი ბირთვული სახელმწიფოების აღმოცენება (და მითუმეტეს ბირთვული იარაღის ჩაგდება არალიბერალური რეჟიმების ხელში) მეტად შემაშფოთებელი პერსპექტივაა დასავლეთისათვის. თუკი ბირთვი ცდილობს მონოპოლიის შენარჩუნებას ბირთვულ იარაღზე, ეს იმიტომაცაა, რომ თავად ამ საკითხს მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება.

უპასუხისმგებლო ლიდერები კი საფრთხის ქვეშ აყენებენ ყველას, უპირველესად კი საკუთარ ხალხს. ამის საუკეთესო მაგალითი ისევ სადამ ჰუსეინია.

“ეარბასის“ საგა გრძელდება

მაშინ როცა “ეარბასის“ ფინანსურმა კრიზისმა მთელი ევროპა ააწრიალა, “ბონგი“ ახალი პროდუქტის გამოშვებაზე ფიქრობს. სამ თვეში ავიაგაიგანტი “787 დრიმლაინერზე“ მუშაობას იწყებს. ამ მოვლენამ ბუნებრივად დაბადა შეკითხვა: ხომ არ დაემართება წარმატებით გათამამებულ “ბონგს“ იგივე რაც დაემართა “ეარბასს.“ ამ უკანასკნელმა გრანდიოზულ პროექტზე, “ეი380“-ზე დაიწყო მუშაობა და მისი შემკვეთებისათვის მიწოდება დააგვიანა. შედეგად შემკვეთების დაკარგვა, დიდძალი წაგება და 10 ათასკაციანი სამუშაო ადგილების შემცირებაც მიიღო.

“ბონგი“ აპირებს უკვე 2008 წლის მაისში გამოუშვას აახლი “დრიმლაინერები.“ ორ წელიწადში ბაზაარს 112 ცალი “787“ მოვევლინება (კომპანიამ უკვე 464 შეკვეთა მიიღო ახალ ლაინერზე). ეს მეტად ოპტიმისტური პროგნოზია, მითუმეტეს “ეარბასის“ წარუმატებლობის ფონზე. თუმცა, “ბონგის“ ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ შემოფოთების საფუძველი არ არსებობს. უფრო მეტიც – პირველი ტესტური გაფრენა მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლოს მოხდება. წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა ლაინერისათვის საჭირო მასალებზე. რაც მთავარია, ახალი “დრიმლაინერი“ ახალი “ეარბასისგან“ განსხვავებით ერთდროულად ორ სხვადასხვა ადგილზე არ აიწყობა და მის უკან პოლიტიკა არ იდგება.

“ეარბასის“ გარშემო ატეხილი პოლიტიკური თამაში კი ჯერაც არ ცხრება. საფრანგეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ნიკოლა სარკოზიმ სასტიკი კრიტიკა დაატეხა თავს “დაიმლერკრაისლერს.“ ეს უკანასკნელი 15%-ს აკონტროლებს “იედიესში“ (“ეარბასის“ მამობილ კომპანიაში) და ახლახან განაცხადა, რომ პრობლემების მიუხედავად “იესიდიესმა“ წელს მაინც უნდა გადაუხადოს დივიდენდი თავის აქციონერებს.

“ჩემთვის მიუღებელია დივიდენდის მოთხოვნა იმ კომპანიისგან, რომელიც 10 ათას თანამშრომელს ითხოვს,“ - განაცხადა სარკოზიმ, რომელიც გერმანულ ბიზნესთან აქამდეც არაერთხელ ყოფილა დაპირისპირებული. მაგალითად, 2004 წელს, როცა ფინანსთა მინისტრი იყო, მან “სიმენსის“ მიერ ფრანგული “ალსტომის“ შესყიდვა დაბლოკა.

საფრანგეთის პრემიერმა დომინიკ დე ვილპენმა განაცხადა, რომ “იედიესმა“ წელს არანაირი დივიდენდი არ უნდა გადაიხადოს და ყველა აქციონერმა უნდა გადაინაწილოს ზარალის სიმძიმე. მაგრამ ძნელი სათქმელია რამდენად დაარწმუნებს ეს “დაიმლერკრაისლერს,“ რომელსაც თავადაც აქვს პრობლემები “კრაისლერის“ წამგებიანი მუშაობის გამო, მაგრამ აქციონერებისათვის დივიდენდების დაკავებას არ აპირებს.

სარკოზიმ კი, რომელიც თავიდან ბიზნესში ჩაურევლობის პრინციპიდან გამომდინარე გამოეხმაურა “ეარბასის“ აჟიოტაჟს, აზრი იცვალა და სახელმწიფოს ჩარევისკენ მოუწოდებს. როგორ განხორციელდება რეფორმები “ეარბასში,“ ეს ალბათ ჯერაც გაურკვეველია.